1987

ISSN 0203—2023

პროლეტარიელნო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 2

1 9 8 7

უმაღლესი საბჭოს
უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თ ბ ი ლ ი ს ი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 (498) თებერვალი 1987 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

39. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების შესახებ.

განყოფილება მეორე

40. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. ე. დ. ბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
41. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. გ. პ. ნოზაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
42. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. დ. ე. სარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
43. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. ჯ. ლ. ჩლაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
44. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

45. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ვ. ბუნიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

46. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ნ. ბერუჩაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

47. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. დ. ლ. გელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

48. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ვ. გურეშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

49. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ა. კობახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

50. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ნ. ლევინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

51. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. რ. ჩუბინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

52. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

53. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

54. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სახმომარაგების სისტემის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

55. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. გ. ანდრონიკაშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

56. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. მ. ფადეევისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

39 **საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების შესახებ**

მოისმინა რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების ინფორმაცია, აგრეთვე ამ საკითხზე სახალხო დეპუტატთა ვანის, ლაგოდეხის, ქ. თბილისის პირველი მაისისა და წალკის რაიონული საბჭოების აღმასკომების ანგარიშები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზებია.

საბჭოების სასესიო საქმიანობაში ჯერ კიდევ არ მომხდარა მკვეთრი შემობრუნება სოციალური პრობლემების გადაჭრისაკენ, მათს განსახილველად იშვიათად გამოაქვთ საწარმოო და საზოგადოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის რიგ რაიონებსა და ქალაქებში მთლიანად არ შესრულდა ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის დავალებები, საბჭოები ამ პრობლემებს არ უთმობენ ჯეროვან ყურადღებას.

სესიების მუშაობაში აღინიშნება გადაჭარბებული ორგანიზებულობის ელემენტები, არ არის შექმნილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფერო.

წარმოდგენილ სტატისტიკურ ანგარიშებში საგრძნობლად გაზრდილია სესიებზე გამოსულ დეპუტატთა რიცხვი, მითითებულია, რომ საანგარიშო პერიოდში სიტყვით გამოვიდა 32 ათასი დეპუტატი, ფაქტობრივად კი მათი რაოდენობა 30.580-ია. არასწორია დეპუტატთა მიერ სესიებზე შეკითხვის წესით დაყენებული საკითხების რიცხვი; მთელი რიგი აღმასკომები ხელოვნურად ზრდიან განხილულ საკითხთა რაოდენობასაც.

ადგილობრივი საბჭოების სესიებზე ზერელედ იხილება ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მიმდინარეობა, რის შედეგად საბჭოების მორიგ არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე 16.675 განაწესიდან შესრულდა მხოლოდ 13.357, ანუ 80,1 პროცენტი.

ცალკეული საბჭოების სტატისტიკურ ანგარიშებში აშკარა მიწერებია. წალკის რაიონის სადაბო და ყაზბეგის რაიონის სასოფლო საბჭოებმა განზრახ შეამცირეს ამომრჩეველთა განაწესების რიცხვი და ამით გაზარდეს მათი შესრულების პროცენტი. ჯეროვნად არ ხორციელდება ამომრჩეველთა განაწესები ახალციხის, ბორჯომის, გარდაბნის, თეთრი წყაროს, თიანეთისა და რესპუბლიკის სხვა რაიონებში.

სერიოზული ხარვეზებია აღმასკომების, მათი განყოფილებების, სამმართველოების მიერ საბჭოების, მოსახლეობისა და შრომითი კოლექტივების წინაშე

ანგარიშგების საქმეშიც. კრებებისა და მათი მონაწილე მოქალაქეთა რიცხვი გადიდებულია ადიგენის, ახმეტის, ბორჯომის, გეგეჭკორის, ლაგოდეხის, ნობის რაიონული და საქალაქო საბჭოების სტატისტიკურ ანგარიშებში; ამასთან მშრომელებთან ზესვედრები მეტწილად ფორმალეური ხასიათისაა, ყოველთვის არ არის გათვალისწინებული შეკითხვის წესით დაყენებული საკითხები, კრიტიკული შეხედულებანი და წიხადადებები; აღმასკომების სხდომებზე იშვიათად მტკიცდება მათი რეალიზაციის კომპლექსური გეგმები, მოუწესრიგებელია შესრულებისადმი კონტროლი.

სტატისტიკურ ანგარიშებში დაშვებულია შეცდომები მუდმივი კომისიების საქმიანობასთან დაკავშირებით. არასწორია კომისიების რიცხვი და დასახელება, დაძახინჯებულია მონაცემები ჩატარებული სხდომების, მომზადებული საკითხების ზესახეი. ისინი სუსტად ან საერთოდ არ მონაწილეობენ სესიების მომზადებაში. ვანის რაიონის ძულუხის სასოფლო საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ომმასურების, ვეჭრობისა და სახოგადოებრივი კვების, სახალხო განათლების მუდმივი კომისიები ანგარიშით არც ერთხელ არ გაძოსულან სესიებზე, სტატისტიკურ ანგარიშში კი საწინააღმდეგო მოხაცემებია. ახალოგეური ფაქტები ‘ძეიხიშნება ლაგოდეხისა და წალკის რაიონებ’ძი.

სუსტია ბევრი საბჭოს მუდმივი კომისიების ანალიზური და საკონტროლო საქმიანობა; ისინი ზერელედ სწავლობენ საკითხებს, არ ავლენენ საწარმოებს, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზებს. ზოგჯერ კომისიათა რეკომენდაციები ზოგადი ხასიათის, არაკონკრეტულია, ნაკლებად უწყობენ ხელს ადგილებზე მდგომარეობის გაუმჯობესებას. ისინი ყოველთვის არ იჩენენ საჭირო სიმტკიცეს შემუშავებული რეკომენდაციებისა და წინადადებების რეალიზაციაში, იშვიათად ისძენენ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელძღვანელთა ანგარიშებს, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ამოძრჩეველთა განაწესების შესრულებას, თითქმის არ იყენებენ მუშაობის ისეთ ეფექტიან ფორმას, როგორიცაა შეკითხვის წესით საკითხის დაყენება.

უმოქმედოდაა ყველა საფეხურის სახალხო დეპუტატთა საბჭოების სამანდატო კომისიათა უმრავლესობა. ზოგიერთი მათგანი დროდადრო ატარებს სხდომებს და განიხილავს მხოლოდ ორგანიზაციულ საკითხებს — ახლად არჩეულ დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობა, მისი ვადამდე შეწყვეტა და ა. შ.

ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ბოლნისის, დმანისის, ვანის, ლაგოდეხის, მაიაკოვსკის, ცაგერის საბჭოების აღმასკომებს არასწორად აქვთ ნაჩვენები დეპუტატთა საერთო რიცხვი, რამაც მნიშვნელოვნად გაართულა კრებსითი ანგარიშების შედგენა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის შესახებ. სტატისტიკური ანგარიშების მონაცემებიდან ჩანს, რომ ადგილობრივ საბჭოებში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა გამოკლებულთა ნაცვლად დეპუტატთა არჩევნების დროულად ჩატარებას. 1986 წელს წინა წელთან შედარებით ასეთი საარჩევნო ოლქების რიცხვი გაიზარდა და შეადგი-

ნა 159. უფრო მეტიც, ქ. თბილისისა და გარდაბნის რაიონის რამდენიმე ოლქში გამოკლებულთა ნაცვლად დეპუტატთა არჩევნები არ ჩატარებულა თითქმის მთელი მოწვევის განმავლობაში.

კვლავ სუსტად არის ორგანიზებული დეპუტატთა ანგარიშგება ამომრჩევლების, შრომითი კოლექტივების წინაშე. ვანის, წალკის, ლაგოდეხის რაიონებში ისინი, როგორც წესი, ანგარიშს აბარებენ მხოლოდ ამომრჩევლებს. ბევრი დეპუტატი წინასწარ არ ეცნობა შესაბამის საარჩევნო ოლქებში შემავალი საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესრულების მდგომარეობას, მომსახურების სფეროს ობიექტების მუშაობას, რაც ამცირებს ამომრჩევლებთან შეხვედრების ეფექტიანობას.

საბჭოები იშვიათად იხილავენ დეპუტატთა ჯგუფების მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს. არ არის მოგვარებული მათი სისტემატური თანამშრომლობა მუდმივ კომისიებთან. დეპუტატთა ჯგუფების მუშაობა არასაკმარისად წარიმართება საგეგმო დავალებათა შესასრულებლად, პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად, ნედლეულისა და მასალების დასაზოგად, დისციპლინის განსამტკიცებლად, სამუშაო დროის დანაკარგების, გაცდენების, მიწერებისა და თვალის ახვევის არსებული ფაქტების აღმოსაფხვრელად. ამაზე რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ყურადღება გამახვილდა „სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ რესპუბლიკაში კვლავ გრძელდება ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის მოვალეობის შემსრულებლად არადეპუტატთა არჩევის მანკიერი პრაქტიკა. საანგარიშო პერიოდში ასე აირჩიეს აღმასკომების 31 თავმჯდომარე, 22 თავმჯდომარის მოადგილე და 22 მდივანი.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად მეტყველებს, რომ მთელი რიგი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს გარდაქმნისა და დაჩქარების პარტიის კურსს. ამ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები და ხარვეზები აღმასკომების ცალკეულ ხელმძღვანელთა ზერელობის, თავიანთი მოვალეობებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების, შესაბამისი კანონებისა და დებულებების მოთხოვნების, საბჭოთა მშენებლობის ძირითადი საკითხების უცოდინარობის შედეგია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაეკალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს, რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს:

— გულდასმით გააანალიზონ და კრიტიკულად შეაფასონ თავიანთი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ზომები არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად; მკვეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად აამაღლონ აპარატის თითოეული მუშაკის პერსონალური პასუხისმგებლობა კანონებისა და დებულებების დაცვის, ანგარიშგებაში დამახინჯებათა დაშვების, საქმისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულებისა და ორგანიზაციული მუშაობის შეფასებაში არაობიექტურობისათვის.

პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დღეიადაგ იზრუნონ სახალხო დეპუტატთა **საბჭოების როლის შემდგომი ამაღლებისა და სოციალურ-**ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის მათი პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად; თითოეული მუშაკის ყურადღება მიაპყრონ საბჭოების ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობის სტილის შემდგომ სრულყოფას; მიაღწიონ მასების შემოქმედებითი აქტიურობის გაზრდას, მათს დარაზმვას 1987 წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებამ ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს ორგანიზაციულ-მასობრივი საქმიანობის სრულყოფაში, სისტემატური კონტროლი დაუწესოს მათ მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური ანგარიშებისა და სხვა მასალების სისწორეზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1987 წლის 26 თებერვალი.
№ 1122—XI

განყოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

40 ამხ. ე. დ. ბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ელისო დავითის ასული **ბერიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 9 თებერვალი.
№ 1108—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

41 ამხ. ბ. პ. ნოზაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. გაიოზ პლატონის ძე **ნოზაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 9 თებერვალი.
№ 1106—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

42 ამხ. დ. ე. სარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. დავით ეფრემის ძე **სარიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ** უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის **საპატიო** სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 9 თებერვალი.
№ 1109—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

43 ამხ. ვ. ლ. ჩლაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით **საქართველოს** კომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ჯანიკო ლონგინოზის ძე **ჩლაიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 9 თებერვალი.
№ 1107—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

44 **საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სისტემის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ**

საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

გივი იოსების ძე **მეფისაშვილი** — ქუთაისის რადიოგადაცემათა საქალაქო რედაქციის პასუხისმგებელი რედაქტორი.

ალბერტ მკრტიჩის ძე **სარქისიანი** — რადიოტელეცენტრის ცვლის უფროსი.

სინამე ჩარკაზის ასული **სადოიანი** — რადიოტელეცენტრის სადეკორაციო-სადადგმო საამქროს რეკვიზიტორი.

ლიდია ნიკოლოზის ასული **ტაბაკოვა** — ინფორმაციის მთავარი რედაქციის რეჟისორი.

ქარიმ ყურბან ოღლი **ქარიმოვი** — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ორგანიზაციულ-მეთოდური ჯგუფის რედაქტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 27 თებერვალი.
№ 1134—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

45 ამხ. გ. ვ. ბედინეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით რესპუბლიკური გაზეთის „კომუნისტის“ რედაქტორი ამხ. გიორგი ვასილის ძე **ბედინეიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 27 თებერვალი.
№ 1148—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

46 ამხ. გ. ნ. ბერუჩაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის მშენებლობის განყოფილების უფროსი რეფერენტი ამხ. გურამ ნიკოლოზის ძე **ბერუჩაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 27 თებერვალი.
№ 1131—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

47 ამხ. დ. ლ. გელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ამხ. დიმიტრი ლევანის ძე **გელაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 27 თებერვალი.
№ 1128—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

48 ამხ. ნ. ვ. გურეშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი ნოდარ ვარლამის ძე **გურეშიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 27 თებერვალი.
№ 1129—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

49 ამხ. ა. ა. კოკბახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ასლან აკაკის ძე **კობახიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 27 თებერვალი.
№ 1130—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

50 ამხ. ლ. ნ. ლევინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვების შესახებ

არმიის ახალგაზრდობისა და რესპუბლიკის მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღსაზრდელად გაწეული ხანგრძლივი აქტიური მუშაობისათვის პოლკოვნიკი ლეონიდ ნაუმის ძე **ლევინი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 27 თებერვალი.
№ 1133—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

51 ამხ. ბ. რ. ჩუბინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებსა და სამეცნიერო ორგანიზაციებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქუთაისის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების საერაონთაშორისო განყოფილების გამგე ამხ. **გივი რაჟდენის ძე ჩუბინიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 27 თებერვალი.
№ 1132—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

52 საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი"

შალვა ვლადიმერის ძე **გაწერელიას** — მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის მთავარ რეჟისორს.

მედეა შალვას ასულ **კუჭუხიძეს** — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის რეჟისორს.

აკადემიკოს ივანეს ძე **მახარაძეს** — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

გიზო დიმიტრის ძე **სიხარულიძეს** — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

გიორგი ეზეკის ძე **ხარაბაძეს** — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე"

გურამ აბრამის ძე **ბათიაშვილს** — ჟურნალ „თეატრალური მოამბის" რედაქტორს.

კონსტანტინე გიორგის ძე **ნინიკაშვილს** — საქართველოს თეატრალური საზოგადოების პასუხისმგებელ მდივანს.

შალვა გრიგოლის ძე **ჩერქეზიშვილს** — ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი"

ლეონიდ მსურატის ძე **ავიძბას** — სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული აფხაზური თეატრის მსახიობს.

ტარიელ ბორისის ძე **გიორგაძეს** — მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის მსახიობს.

ვასილ ალექსანდრეს ძე **ივანიძეს** — მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის მსახიობს.

ავთანდილ დავითის ძე **მიქაძეს** — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

რუსლან ილიას ძე **ოტიაშვილს** — სამხრეთ ოსეთის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართული დასის მსახიობს.

შოთა გიორგის ძე **ქრისტესაშვილს** — მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის მსახიობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანი ლეონიდეს ასულ **ჩიქვინიძეს** — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო **აკადემიური თეატრის მსახიობს.**

გივი ზაქარიას ძე **ჩუგუაშვილს** — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო **აკადემიური თეატრის მსახიობს.**

ევა გიორგის ასულ ხუტუნაშვილს — ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ედემ (დიმიტრი) სერგის ძე ჯაიანს — სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული ქართული თეატრის მსახიობს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

სოფიო პეტრეს ასულ **აბაშიძეს** — საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის უფროს ლაბორანტს.

ლიდია იოსების ასულ **ბელსკაიას** — საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 12 თებერვალი.
№ 1113—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

53 საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო წოდებათა მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი“

ნანა კონსტანტინეს ასულ **კვიცარიძეს** — ტელევიზიის მუსიკალური პროგრამების მთავარი რედაქციის უფროს რედაქტორს.

მარლენ ვალერიანის ძე **კიტიას** — ტელეფილმების სტუდიის უფროს რედაქტორს.

ეთერ დავითის ასულ **ჭიჭინაძეს** — ტელევიზიის ინფორმაციის მთავარი რედაქციის კორესპონდენტს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

ნინო ალექსანდრეს ასულ **აბაშიშვილ-თვარაძეს** — რესპუბლიკური რადიოტელეცენტრის მემონტაჟეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერიან გიორგის ძე **გომელაურს** — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ფილმოფოტოფონდის განყოფილების გამგეს.

ჯუმბერ პანტელეიმონის ძე **გრიგორაშვილს** — ტელევიზიის ტელეოპერატორს.

ემა ბარსეგის ასულ **დავითიანს** — რესპუბლიკური რადიოტელეცენტრის მემონტაჟეს.

შალვა ესტატეს ძე **კახიშვილს** — რესპუბლიკური რადიოტელეცენტრის საამქროს უფროსის მოადგილეს.

ჯიმშერ ბესარიონის ძე **კახნიაშვილს** — ტელევიზიის ინფორმაციის მთავარი რედაქციის რეჟისორს.

ციური ვალერიანის ასულ **კობერიძეს** — რესპუბლიკური რადიოტელეცენტრის მემონტაჟეს.

რევაზ არტემის ძე **ყურულაშვილს** — რესპუბლიკური რადიოტელეცენტრის დეკორაციის დამდგმელს.

ლალი გრიგოლის ასულ **ცქიტიშვილს** — ტელევიზიის საბავშვო პროგრამების მთავარი რედაქციის რეჟისორს.

ეთერ ამბროსის ასულ **ჯაფარიძეს** — რადიოს მუსიკალური პროგრამების მთავარი რედაქციის რედაქტორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი“

მალხაზ ილიას ძე **კუხაშვილს** — ტელევიზიის მთავარ მხატვარს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“

თინა მიხეილის ასულ **მგალობლიშვილს** — ტელევიზიის დიქტორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

ვიაჩესლავ მიხეილის ძე **ლუკოიანიჩევს** — რადიოტელეცენტრის ხმის ჩამწერი საამქროს უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“

რუსუდან მიხეილის ასულ **ღლონტს** — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ბუღალტრის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 12 თებერვალი.
№ 1112—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

54 საქართველოს სსრ სახმომარაგების სისტემის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ სახმომარაგების სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი“** მიენიჭოთ:

მარინა გიორგის ასულ **გოგინაშვილს** — საქართველოს სსრ სახმომარაგების ცენტრალური აპარატის სახელშეკრულებო-სამართლებრივი განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელს.

რაისა იაკობის ასულ **ნებიერიძეს** — საქართველოს სსრ სახმომარაგების მთავარი სამმართველო „საქმთავარმეორადრესურსების“ სახელშეკრულებო-სამართლებრივი განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 27 თებერვალი.
№ 1137—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

55 ამხ. თ. გ. ანდრონიკაშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკაში ქრომატოგრაფიის განვითარებაში წვლილისათვის, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს თეიმურაზ გიორგის ძე **ანდრონიკაშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 27 თებერვალი.
№ 1136—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

56 ამხ. ი. მ. ფადეევისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის ქ. თბილისის საოლქო პოსპიტლის უფროსს, სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკს იური მიხეილის ძე **ფადეევს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. პილაუშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 27 თებერვალი.
№ 1135—XI

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

1987 წლის 26 თებერვალს გაიმართა **საქართველოს სსრ** უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. განხილულ იქნა საკითხი **საქართველოს სსრ** სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ სკკპ ცენტრალური **კომიტეტის 1987 წლის** იანვრის პლენუმის მოთხოვნათა განხორციელების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ.

საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების საქმიანობაში დემოკრატიული საწყისების განვითარების, მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების სრული და ეფექტიანი გამოყენების, აგრეთვე საბჭოების სესიებსა და მუდმივი კომისიების სხდომებზე ხელმძღვანელი კადრების ინფორმაციების მოსმენის შედეგად მათი მუშაობისადმი კონტროლის გაძლიერების, დეპუტატთა მიერ შეკითხვის წესით საკითხის დაყენების პრაქტიკის გაფართოების აუცილებლობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მითითებებიდან გამომდინარე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

დეპუტატთა გააქტიურების, საკითხების განხილვაში მათი დაინტერესებული მონაწილეობისათვის ხელის **შეწყობის მიზნით პრაქტიკაში** ფართოდ დაინერგოს რესპუბლიკის ყველა სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიების მონაწილეთა მიერ განსახილველი მოხსენებების ან მათი თეზისების, დადგენილებათა პროექტების წინასწარი გაცნობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ სესიას, როგორც წესი, მოხსენდეს წინა სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებების, მის მონაწილეთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების, ამომრჩეველთა მიერ თავიანთი დეპუტატებისათვის მიცემული განაწესების, დეპუტატთა შეკითხვის წესით დაყენებული საკითხების რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ყოველ სესიაზე მოსმენილ იქნეს საბჭოს აღმასრულებელი ორგანოს ინფორმაცია სესიებს შუა პერიოდში გაწეული საქმიანობის თაობაზე;

სადეპუტატო საქმიანობის გამოცდილების გაზიარებისა და ახლად არჩეულ დეპუტატთათვის ესტაფეტის თავისებური გადაცემის მიზნით პირველ სესიებში მონაწილეობა მიიღონ წინა მოწვევის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებმა;

ყოველი საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, ამ თანამდებობაზე არჩევის შემდეგ, დეპუტატებს გააცნოს თავისი ზნეობრივი, ცხოვრებისეული კოდო, გაუზიაროს ადამიანებთან მუშაობის გამოცდილება და სხვ.

ახლად არჩეულ დეპუტატთა საქმიანობაში დაუყოვნებლივ აქტიურად ჩასაბმელად მიზანშეწონილად ჩაითვალა დეპუტატთა საერთო-საარაიონო შეკრების (კრების) ჩატარება და მასზე მიმოხილვითი მოხსენება-ანგარიშით სახალხო დეპუტატთა საბჭოების იმ სამსახურთა ხელმძღვანელების რეგულარული გამოსვლა, რომელთაც დეპუტატები ხშირად მიმართავენ თავიანთ მოვალეობათა შესრულებისას.

მაქსიმალური საჯაროობის და ხალხის რჩეულთა აქტიურობისა და პასუხისმგებლობის ამაღლების ინტერესებიდან გამომდინარე ყველა სახალხო დეპუტატთა საბჭოში, აგრეთვე შრომითს კოლექტივში მიჩნეულ იქნა საჭიროდ საყოველთაო გაცნობისათვის დეპუტატთა სიების გამოკვრა მათთვის მიცემული განაწესების მითითებით.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისა და დეპუტატთაგან შუდმივი კომისიების შექმნის შემდეგ საჭიროდ ჩაითვალა ამ კომისიების თავმჯდომარეთა ინსტრუქტაჟ-თათბირის ჩატარება რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი კომისიების ხელმძღვანელთა მონაწილეობით.

ასევე საჭიროდ იქნა მიჩნეული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა ყოველთვიური მივლინებების განგრძობა ცალკეულ რაიონებსა და ქალაქებში საბჭოების შესაბამისი აღმასკომებისათვის მუშაობაში დასახმარებლად, სადეპუტატო საქმიანობის საკითხებზე საბჭოთა კანონმდებლობის მოთხოვნათა განსამარტებლად. საბჭოებისათვის გასაწევი პრაქტიკული დახმარების ფორმებისა და მეთოდების დახვეწა; ყველა საფეხურის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრების ჩატარება, რომელზეც განიხილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საქმეში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების ამოცანები.

№ 2
ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მოისმინა რა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის ამხ. ზ. მ. რატიანის ინფორმაცია მართლმსაჯულების აღსასრულებლად, მოსახლეობას შორის პროფილაქტიკურ-განმარტებითი მუშაობის ჩასატარებლად რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა აქტიურობის ამაღლებისათვის საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს საქმიანობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ იუსტიციის სამინისტრომ გარკვეული ბუშაობა გასწია მართლმსაჯულების აღსრულებასა და სამართალდარღვევათა აცდენაში სახალხო მსაჯულთა როლის ასამაღლებლად.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ სახალხო მსაჯულებთან მუშაობა რესპუბლიკაში უკიდურესად დაბალ დონეზეა, ხასიათდება ფორმალიზმით, პასიურობით.

რესპუბლიკის სახალხო სასამართლოები ნაკლებად იყენებენ სახალხო მსაჯულთა ფართო შესაძლებლობებს სასამართლო საქმიანობის შემდგომ სრულყოფასა და მართლმსაჯულების აღმზრდელობითი როლის ამაღლებაში, უხეშად არღვევენ სასამართლო საქმეთა განხილვაში სახალხო მსაჯულთა მონაწილეობის კანონმდებლობით დადგენილ ვადებსა და რიგითობას. სახალხო მსაჯულთა გარკვეულ ნაწილს სასამართლო საქმეთა განსახილველად იწვევენ დაწესებულ ვადაზე მეტი ხნით, მაშინ როდესაც ბევრი მსაჯული საერთოდ არ მონაწილეობს სასამართლოების მუშაობაში. მაგალითად, ლენინგორის, საგარეჯოს რაიონებისა და ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულების ნახევარზე მეტს არჩევის დღიდან ერთხელაც კი არ მიუღია მონაწილეობა ამ სასამართლოთა მუშაობაში. ანალოგიური ფაქტები შეინიშნება რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც.

მთელ რიგ სახალხო სასამართლოებში არ არის შექმნილი ნორმალური პირობები სახალხო მსაჯულთა მიერ თავიანთი უფლებამოსილების წარმატებით განსახორციელებლად; ხშირია შემთხვევები, როდესაც ისინი პროცესზე გამოდიან საქმის მასალების წინასწარ გაუცნობლად, რაც მკვეთრად აქვეითებს სასამართლო განხილვის ხარისხსა და ეფექტიანობას.

სახალხო მსაჯულები ჯერ კიდევ ნაკლებ აქტიურობას იჩენენ სასამართლო პროცესებზე, რაც ადგილებზე მათი სამართლებრივი სწავლების არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციის შედეგია.

ზოგიერთი სახალხო მოსამართლე არ ატყობინებს სახალხო მსაჯულებს მათი მონაწილეობით განხილული განაჩენებისა და გადაწყვეტილებების, საკასაციო და საზედამხედველო გადასინჯვის შედეგებს, პრაქტიკაში არ არის შემოღებული სასამართლოში საქმეთა განხილვისას დაშვებული ყველაზე დამახასიათებელი შეცდომების განზოგადება (ქ. თბილისის კალინინისა და 26 კომისრის სახელობის რაიონების, კასპისა და სხვა რაიონების სახალხო სასამართლოები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მსაჯულები თავიანთი მუშაობის შესახებ ანგარიშით იშვებენ გამოდიან ამომრჩევლების, შრომითი კოლექტივების წინაშე და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას. უფრო მეტიც, 1986 წელს ქ. ფოთის, წულუკიძის, წითელი წყაროს, გურჯაანისა და ზოგიერთი სხვა რაიონის სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს საერთოდ არ ჩაუბარებიათ ანგარიში თავიანთი ამომრჩევლებისათვის.

ბევრი სახალხო მსაჯული ფაქტობრივად არ მონაწილეობს აღმზრდელობითს და პროფილაქტიკურ საქმიანობაში.

არადამაკმაყოფილებელია მუშაობა სახალხო მსაჯულთა სამართლებრივი მოიზადების ამაღლების, მათი მუშაობის მოწინავე გამოცდილების შესწავლის და განზოგადება-გავრცელებისათვის.

მუშაობაში სერიოზული შეცდომები და ხარვეზები აქვს ზოგიერთ სახალხო მსაჯულთა საბჭოს, რო

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მუშაობა მართლმსაჯულების აღსასრულებლად და რესპუბლიკის მოსახლეობაში პროფილაქტიკურ-განმარტებითი მუშაობის გასაწევად სახალხო მსაჯულთა აქტიურობის ამაღლებისათვის ჩათვალა არასაკმარისად და სათანადო დავალება მისცა მას ამ მიმართებით საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

შესაბამისი დავალებანი მიეცათ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სხდომაზე განიხილა სხვა საკითხებიც.